ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4467699

ნომერი: AR1669311

თარიღი : 19.03.2019

გაცემის თარიღი : 19.04.2019

გაცნობის თარიღი : 20.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5); ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუკრი ლიპარტაშვილი პ/ნ 13001001759
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 1 ბ. 55

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

იმისთვის რომ დეტალურად დადგინდეს და შეფასდეს მოთხოვნილი სამუშაოები, წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ფოტოსურათები გადაღებული სხვადასხვა ხედის ფიქსაციით, სარეკონსტრუქციო ფილის ორივე დონიდან, ამასთან აღნიშნულზე მიუთითეთ საჯარო რეესტრის მიხედვით ფართების მონაცემები, აღნიშნული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებულ იქნას ფოტომონტაჟები, რომელზეც ასევე დატანილ იქნება მონაცემები. ჩასატარებელ სამუშაობზე ინფორმაცია ასევე დეტალურად განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

ამასთან წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, გაბაიტული ზომისა და მასალის მითითებით.

ასევე იმისთვის დაზუსტდეს სარეკონსტრუქციო ფართებისა და სართულების კანონიერება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საჯარო რეესტრში დაცული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ნახაზები, ამასთან მოგახსენებთ რომ თუ საპროექტო კიბის მოწყობა ხდება არსებულ კიბის უჯრედში (თუ ხდება კიბის გაგრძელება) აღნიშნული ვერ განიხილება I კლასის კუთხით, და საჭიროა საკითხი დაყენებულ იქნას არსებული შენობის რეკონსტრუქციით კუთხით. ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციით კვლავ ვერ დგინდება საპროექტო კიბით რომელი სართულების დაკავშირება ხდება ერთმანეთთან და რამდენად კანონიერია სართული რომელზეც ხდება მოხვედრა საპროექტო კიბით.

ასევე მოგახსენებთ:

- იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო სამუშაობით შეხება ხდება საერთო საკუთრებაში არსებულ ფართებთან საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ყველა მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე, გაითვალისწინეთ, მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის პირველი ოქტომბრის #003645 დადგენილებაში და მერის 2018 წლის 28 დეკემბრის #704 ბრძანებაში მითითებულია ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა #70 ს/კ: 01.10.13.031.006-ზე შენობა #4-ში, სადარბაზოს სივრცეში განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების თაობაზე. შესაბამისად თუ საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს იმ ტერიტორიაზე რომელიც მითითებულია დადგენილებაში ან მერის ბრძანებაში ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით და ზემოაღნიშნული თანხმობები.
- შპს „გამსახურდიას 5“-ის მიმართ დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება და მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის პირველი ოქტომბრის #003645 დადგენილებით დაჯარიმდა 4000 ლარით, სადარბაზოს სივრცეში, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისათვის (განხორციელებული იყო: სართულშუა გადახურვის ფილების დემონტაჟი, მოწყობილი კაპიტალური კიბის ბაქნების ასევე დამატებით მოწყობილი ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის კიბის და კოჭების). 2018 წლის 28 დეკემბრი #704 მერის ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „გამსახურდიას“ ადმ. საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის პირველი ოქტომბრის #003645 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც შპს „გამსახურდიას 5-ს“ დაევალა ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა, #70-ში შენობა 4-ში სადარბაზოს სივრცეში მოწყობილი კაპიტალური კიბის ბაქნების, დამატებით მოწყობილი ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის კიბის და კოჭების დემონტაჟი, ასევე მე-3 სართულსა და ტექნიკურ სართულს შორის არსებული სართულშუა გადახურვის ფილის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, შესაბამისად ასეთ შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.